საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს

დადგენილება № 2356

2017 წლის 29 მარტი

საგრანტო ნომინაციის საპროექტო წინადადებების
წარდგენის, განხილვისა და შეფასების წესის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საგრანტო ნომინაციის საპროექტო წინადადებების წარდგენის, განხილვისა და შეფასების თანდართული წესი და საგრანტო ხელშეკრულების ფორმა (იხ. დანართი).
2. უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში:
   ა) ყოველი კონკურსის გამოცხადებამდე განსაზღვროს წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, შეიმუშაოს მათი გაფორმების წესი და წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების შეფასების კრიტერიუმები;
   ბ) ავტორიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბიუჯეტების ფორმირებისა და დამტკიცებისას უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე საკითხი დასვას უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ბიუჯეტებში საგრანტო ნომინაციის საპროექტო წინადადებების განხორციელებისთვის საჭირო სახსრების გათვალისწინების შესახებ.
3. მოცემული დადგენილება გადაეცეს სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) დასამტკიცებლად. საკითხის წარდგენა წარმომადგენლობით საბჭოს (სენატის) სხდომაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში, ბატონ ზურაბ გასიტაშვილს.
4. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე

სტუ-ის აკადემიური საბჭოს
2017 წლის 29 მარტის
№ 2356 დადგენილების

დანართი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საგრანტო ნომინაციის საპროექტო წინადადებების
წარდგენის, განხილვისა და შეფასების წესი

უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო მოღვაწეობის სტიმულირებისა და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით საჭიროა საუნივერსიტეტო მეცნიერების განვითარებისთვის გამოყენებულ იქნეს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან და სხვა საფინანსო წყაროებიდან მოზიდული სახსრები. ასეთი მოთხოვნა, აგრეთვე უმაღლესი განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის ერთ-ერთი სტანდარტის დაკმაყოფილების პირობაა. ამ პირობის შესრულება, პირველ რიგში, გულისხმობს უნივერსიტეტის თანამშრომელთა მიერ სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებული ე. წ. „საგრანტო ნომინაციის საპროექტო წინადადებების“ დაფინანსებას. ამიტომ, ავტორიზაციის პროცესის წარმატებული გავლისთვის აუცილებელია უნივერსიტეტის ბიუჯეტში ყოველწლიურად სათანადო სახსრების გათვალისწინება და მისი განაწილების წესის არსებობა. ქვემოთ მოცემულია აღნიშნული წესი.

1. საგრანტო ნომინაციის საპროექტო წინადადებების (შემდგომში - პროექტი) მიზანია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) სამეცნიერო პოტენციალისა და კვლევების ხარისხის, თანამშრომელთა და სტუდენტთა ინტელექტუალური, შემოქმედებითი მოღვაწეობის ამაღლების, მეცნიერების განვითარებისა და მისი კომერციალიზაციის ხელშეწყობა.
2. პროექტის წარდგენა შეუძლია უნივერსიტეტის, მათ შორის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის თანამშრომელს. განმახორციელებელი ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ უნივერსიტეტის თანამშრომელი და სტუდენტი.
3. პროექტის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს.
4. პროექტების განხორციელებას ყოველწლიურად აფინანსებს უნივერსიტეტი ან ფაკულტეტი საკუთარი ბიუჯეტიდან. გარდა ამისა, პროექტები შესაძლებელია დაფინანსდეს კანონმდებლობით დაშვებული სხვა წყაროდან.
5. გამარჯვებული პროექტების გამოვლენა ხდება კონკურსის საფუძველზე, რომელსაც ატარებს საკონკურსო კომისია (შემდგომში - კომისია). კომისიის თავმჯდომარეა უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.
6. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით კომისიის შექმნის და კონკურსებთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტების გამოცემის უფლებამოსილება ენიჭება რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში. კომისია იქმნება ერთჯერადად, კონკრეტული კონკურსის მოწყობის მიზნით. მის შემადგენლობაში, როგორც წესი, შედიან: უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, მეცნიერებისა და კომერციალიზაციის დეპარტამენტების უფროსები, ფაკულტეტის მიერ პროექტის დაფინანსების შემთხვევაში ამ ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის წარმომადგენლები დეკანის წარდგინებით და სხვები. თავმჯდომარეს უფლება აქვს კომისიის სხდომაზე მოიწვიოს წარმოდგენილი პროექტების თემატიკის პროფილის სპეციალისტები და უნივერსიტეტის სხვა თანამშრომლები.

7. კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება მის მიერ გამოვლენილი გამარჯვებული და დაფინანსებული პროექტების განხორციელების დასრულებამდე.
8. კონკურსს აცხადებს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში საკუთარი ინიციატივით ან შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წინადადების საფუძველზე. კონკურსის თემატიკა განისაზღვრება უნივერსიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე ან პროექტების ავტორების წინადადებებით.
9. კონკურსის მოწყობის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა (თუ აუცილებელია, მათი ფორმა და შინაარსი), წარდგენის ვადები და ადგილი, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა აუცილებელი პირობები.
10. პროექტების წარდგენა იწყება კონკურსის გამოცხადებიდან არანაკლებ 15 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ და გრძელდება არანაკლებ 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
11. წარმოდგენილი პროექტების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება კომისიამ უნდა დაასრულოს მაქსიმუმ ერთ თვეში, პროექტების წარმოდგენის ვადის გასვლიდან.
12. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3.
13. პროექტების შეფასება ხდება დადგენილი წესითა და კრიტერიუმებით. შეფასების კრიტერიუმები უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული პროექტების ხარისხთან და კომისიას მათი ობიექტური შეფასებისთვის უნდა ჰქონდეს აუცილებელი ინფორმაცია. მიზანშეწონილია კრიტერიუმები მოიცავდეს შემდეგ საკითხებს: პროექტში დასმული პრობლემის აქტუალურობა, შედეგების გამოყენების რეალურობა და მდგრადობა, შესაქმნელი პროდუქტის საბაზრო პერსპექტივები და კონკურენტუნარიანობა, პროექტის ხელმძღვანელის და სხვა ძირითადი შემსრულებლების კვალიფიკაციის, ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისობა პროექტში დასახულ ამოცანებთან და სხვა.
14. კომისია უფლებამოსილია წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გაესაუბროს პროექტის ხელმძღვანელს ან პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის სხვა უფლებამოსილ წევრს.
15. კონკურსის შედეგებს კომისიის თავმჯდომარე აცნობებს პროექტების ხელმძღვანელებს და უნივერსიტეტის ვებგვერდზე აქვეყნებს კონკურსის დასრულებიდან სამი დღის ვადაში.
16. გამარჯვებული პროექტები, შესაბამის დოკუმენტებთან ერთად, გადაეცემა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სხდომაზე დასამტკიცებლად გატანის მიზნით. სენატის მიერ კომისიის გადაწყვეტილების დამტკიცების შემდეგ უნივერსიტეტი პროექტის ხელმძღვანელთან აფორმებს ხელშეკრულებას. ხელშეკრულების ფორმა თან ერთვის (იხ. დანართი).
17. საგრანტო ხელშეკრულების რეგისტრაციას, აღრიცხვასა და შენახვას ახორციელებს უნივერსიტეტის მეცნიერების დეპარტამენტი.
18. პროექტის ცალკეული ეტაპის დასრულების შემდეგ კომისია განიხილავს წარმოდგენილ ანგარიშებსა და მოცემულ ეტაპზე შექმნილ პროდუქტს. გადაწყვეტილება მიიღება განხილვის შედეგებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე.
19. პროექტი დასრულდება კომისიის მიერ საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშებისა და შექმნილი პროდუქტის მიღების შემდეგ, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს მისცეს გონივრული ვადა აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის ანაზღაურების გარეშე. თუ დადგენილ ვადაში ვერ მოხერხდა ხარვეზის გამოსწორება ან დადგინდა, რომ ხარვეზის გამოსწორება შეუძლებელია,

კომისია გადაწყვეტილებას იღებს პროექტის ხელმძღვანელი პირებისათვის, მომდევნო 5 წლის განმავლობაში, უნივერსიტეტის საგრანტო ნომინაციებში საპროექტო წინადადებების წარდგენის შეზღუდვის შესახებ.

20. კომისია უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება კონკრეტული პროექტის დაფინანსების გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ მიღებული შედეგების განვითარებისა ან დანერგვის მიზნით.
21. პროექტით შექმნილი პროდუქტი პროექტის ავტორთა და სტუ-ის ერთობლივი საკუთრებაა.
22. საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო, საერთაშორისო და სხვა კონკურსებში უნივერსიტეტის სახელით წარსადგენი საპროექტო წინადადებების განხილვას უზრუნველყოფს ამ წესის მე-5 და მე-6 პუნქტების მიხედვით შექმნილი კომისია.

დანართი

საგრანტო ხელშეკრულება № _____

ქ. თბილისი (თარიღი)

ხელშეკრულების საგანი

საგრანტო ნომინაციის საპროექტო წინადადება „დასახელება“ (შემდგომში - საგრანტო პროექტი).

ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი რექტორის, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ქეთევან ქოქრაშვილის სახით**, შემდგომში გრანტის გამცემი და, მეორე მხრივ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიის მიერ 20___ წლის (თარიღი) საკომისიო განხილვის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელი _____, შემდგომში გრანტის მიმღები.

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. **ზოგადი დებულებები**
   1.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში - სტუ) აფინანსებს და გრანტის მიმღები იღებს გრანტს, რომელიც მოპოვებულია სტუ–ის საკონკურსო კომისიის მიერ 20____ წლის (თარიღი) საკომისიო განხილვის შედეგად.
   1.2. გრანტის ოდენობაა: _____ (სიტყვიერად) ლარი.
   1.3. გრანტის ხანგრძლივობაა: _____ თვე.
   1.4. გრანტის სახსრების გამოყენება შეიძლება მხოლოდ საგრანტო პროექტით გათვალისწინებული მიზნებისა და საქმიანობისათვის, რომელიც მოცემულია ამ ხელშეკრულების დანართში „საგრანტო პროექტის სამუშაო გეგმა“ და ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია (დანართი 1).
   1.5. „საგრანტო პროექტის სამუშაო გეგმა“ დაყოფილია სამთვიან ეტაპებად (მონაკვეთებად).
2. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება (გრანტის ბიუჯეტი)**
   2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს _____(სიტყვიერად) ლარს, რომელიც დაყოფილია სამთვიან ეტაპებად.
   2.2. თითოეული სამთვიანი ეტაპისთვის განსაზღვრული თანხა მოცემულია დანართში „საგრანტო პროექტის ხარჯთაღრიცხვა“, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია (დანართები 2, 3)[1].
3. **მხარეთა ვალდებულებები**
   3.1. სტუ ვალდებულია
   - საგრანტო პროექტში მონაწილე ფიზიკურ პირებს სამუშაოთა პირველი ეტაპის ყოველი თვის ანაზღაურება ჩაურიცხოს მიმდინარე თვის 28 რიცხვამდე, მომდევნო ეტაპების დამტკიცების შემთხვევაში კი - მიმდინარე ეტაპის ყოველი თვის 28 რიცხვამდე;

[1] შეივსება მხოლოდ ერთი ფორმა

- გრანტის შემსრულებელი ფიზიკური პირები უზრუნველყოს საგრანტო პროექტის შესასრულებლად აუცილებელი, მათ შორის უკვე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ნორმალური სამუშაო პირობებით.

3.2. გრანტის მიმღები ვალდებულია ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ, ერთი კვირის ვადაში სტუ-ს წარუდგინოს ტექნიკური ანგარიში, რომელიც შედგება ფინანსური და არსობითი ნაწილებისაგან, ხოლო პროექტის დასრულების შემდეგ, ერთი თვის ვადაში - ბოლო ეტაპის ტექნიკური და დასკვნითი ანგარიშები.

4. პროექტის ფინანსური ანგარიშგება

4.1. გრანტის მიმღები ვალდებულია ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ სტუ-ს წარუდგინოს ფინანსური ანგარიში და განმარტებითი ბარათი გრანტის სახსრებით შეძენილი მცირეფასიანი საგნებისა და ძირითადი საშუალებების საინვენტარიზაციო ნუსხით.

4.2. ბოლო ეტაპის დასრულების შემდეგ, ერთი თვის ვადაში გრანტის მიმღები ვალდებულია წარუდგინოს სტუ-ს ბოლო ეტაპის ტექნიკური და დასკვნითი ანგარიშები. დასკვნით ანგარიშში სრული ინფორმაცია უნდა იყოს გრანტის სახსრების გამოყენების შესახებ.

5. ურთიერთობა გრანტის შემსრულებელ ფიზიკურ პირებთან

5.1. გრანტის შემსრულებელი ფიზიკური პირები ვალდებულნი არიან შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები „საგრანტო პროექტის სამუშაო გეგმაში“ მითითებული ამოცანებისა და ქმედებების შესაბამისად.

5.2. სტუ ვალდებულია გრანტის შემსრულებელ ფიზიკურ პირებს დადგენილ ვადაში ჩაურიცხოს მათთვის გათვალისწინებული თანხები.

5.3. პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს გრანტის მიმღები ფიზიკური პირების მიერ „საგრანტო პროექტის სამუშაო გეგმაში“ მითითებულ სამუშაოთა შესრულებას.

6. გრანტის ანგარიშგება და მონიტორინგი

6.1. გრანტის მიმღებს მოეთხოვება ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ, ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს პროექტის მიმდინარეობის შესახებ გასული სამი თვის ანგარიში, ხოლო საჭიროებისამებრ, სტუ-ის მოთხოვნის შესაბამისად, საგრანტო პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტი. საგრანტო პროექტის დასრულების შემდეგ წარმოდგენილი უნდა იყოს ბოლო ეტაპის (სამი თვის) ტექნიკური და დასკვნითი ანგარიშები.

6.2. სტუ-ის საკონკურსო კომისია ამოწმებს წარმოდგენილ ტექნიკურ ანგარიშს და შეადგენს მონიტორინგის შესაბამის აქტს. ამ აქტის საფუძველზე სტუ ახორციელებს შემდგომ ქმედებას.

6.3. თუ ტექნიკური ანგარიშის შემოწმებისას გამოვლინდა გამოსწორებადი ხასიათის შეცდომები/დარღვევები, გრანტის მიმღები ვალდებულია საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილ ვადაში წარმოადგინოს კორექტირებული ანგარიში, ფიზიკურ პირებზე თანხის ჩარიცხვა კი შეჩერდება მდგომარეობის სრულ გამოსწორებამდე.

6.4. კორექტირებული ანგარიშის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში განიხილება გრანტის შეჩერების საკითხი.

6.5. გრანტის შეჩერების პერიოდში ჩერდება პროექტის შესრულებასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობა. გრანტის შემსრულებელი ფიზიკური პირები

არ მიიღებენ ხელფასს იმ საქმიანობისათვის, რომელიც განხორციელდა გრანტის შეჩერების პერიოდში.

6.6. თუ ტექნიკური ანგარიშის შემოწმებისას გამოვლინდა გამოუსწორებადი ხასიათის დარღვევები, საკონკურსო კომისია დააყენებს გრანტის შეწყვეტის საკითხს.

7. გრანტის მიმღების დამატებითი ვალდებულებები

გრანტის მიმღები ვალდებულია, სტუ-ს წინასწარ შეატყობინოს ნებისმიერი დაგეგმილი ღონისძიების (სამუშაო შეხვედრა, პრეზენტაცია, სემინარი და ა. შ.) შესახებ არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე, რათა მას მიეცეს აღნიშნული ღონისძიების ორგანიზების საშუალება.

8. გრანტის შეწყვეტა

8.1. საკონკურსო კომისია სტუ-ს ადმინისტრაციას წარუდგენს წინადადებას გრანტის შეწყვეტის შესახებ ნებისმიერ დროს თუ დადგენილია, რომ:

- გრანტის მიმღები არ ასრულებს ამ ხელშეკრულების პირობებს;
- გრანტის მიმღებს არ შეუძლია უზრუნველყოს საგრანტო პროექტის მიზნების მიღწევა;
- გრანტის სახსრები გამოყენებულია არამიზნობრივად;
- წარმოდგენილია ფალსიფიცირებული დოკუმენტები და/ან ინფორმაცია;
- კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.2. გადაწყვეტილება გრანტის შეწყვეტის შესახებ გრანტის მიმღებს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში.

9. საავტორო უფლებები

9.1. გრანტით დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შექმნილი ნებისმიერი პროდუქტი საგრანტო პროექტის ავტორთა და სტუ-ის ერთობლივი საკუთრებაა.

9.2. სტუ უფლებას იტოვებს, საგრანტო პროექტის ავტორებთან შეთანხმებით, მოახდინოს გრანტის ფარგლებში მიღებული შედეგების საწარმოო რეალიზაცია.

10. ფორს-მაჟორი

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების შეჩერება, გაუქმება ან შეცვლა შეიძლება ფორს-მაჟორის შემთხვევაში ან სხვა პირობებში, რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრული საქმიანობის დროს.

10.2. ფორსმაჟორული პირობების დადგომა და შეწყვეტა ფორმდება დოკუმენტურად ორმხრივი ხელმოწერით.

10.3. ამ ხელშეკრულებისთვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლს დაუქვემდებარებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული გრანტის გამცემის და/ან გრანტის მიმღების შეცდომასთან ან დაუდევრობასთან და რომლებსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო პრობლემებით და ა. შ.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის წესი

მოცემულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია წერილობითი ფორმით, მასში მონაწილე ორივე მხარის თანხმობით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი, თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად (თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის), ძალაშია 20____ წლის _____-დან და მოქმედებს 20____ წლის _____-მდე.

მხარეთა ხელმოწერები:

საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი
(სახელი, გვარი)
_____

სტუ-ის რექტორი
არჩილ ფრანგიშვილი
_____

სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ქეთევან ქოქრაშვილი
_____

20___ წლის _____ № _____

საგრანტო ხელშეკრულების
დანართი 1

საგრანტო პროექტის სამუშაო გეგმა

ეტაპი	ამოცანის დასახელება	ქმედებათა ნუსხა	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე	. . .	შენიშვნა
I	1.	1.								
		2.								
		3.								
		. . .								
	2.	1.								
		2.								
		3.								
		. . .								
	. . .	1.								
		2.								
		3.								
		. . .								
II	. . .	1.								
		2.								
		3.								
		. . .								
	. . .	1.								
		2.								
		3.								
		. . .								
. . .	.	1.								
		2.								
		3.								
		. . .								
	. . .	1.								
		2.								
		3.								
		. . .								

20___ წლის _____ № _____
საგრანტო ხელშეკრულების
დანართი 2

საგრანტო პროექტის ხარჯთაღრიცხვა*

№	ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები	კოდი	პროექტის ბიუჯეტი სულ (ლარი)	20___ წელი			20___წელი	
				I ეტაპი	II ეტაპი	. . .	. . .	. . .
	სულ ასიგნება							
	ხარჯები							
	მათ შორის:							
1	საქონელი და მომსახურება	22						
I	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221						
II	მივლინებები	222						
III	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება (ინვენტარ-მოწყობილობების შეძენა	2210						
2	არაფინანსური აქტივები	31	0	0	0			

* - გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პროექტი სრულდება ერთ კალენდარულ წელში ან გარდამავალია, მაგრამ ეტაპის დასრულების თარიღი ემთხვევა კალენდარული წლის დასრულებას.

20___ წლის _____ № _____
საგრანტო ხელშეკრულების
დანართი 3

საგრანტო პროექტის ხარჯთაღრიცხვა*

№	ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები	კოდი	პროექტის ბიუჯეტი სულ (ლარი)	20___ წელი			20___წელი	
				I ეტაპი	II ეტაპი	III ეტაპი (I ნაწ.)	III ეტაპი (II ნაწ.)	. . .
	სულ ასიგნება							
	ხარჯები							
	მათ შორის:							
1	საქონელი და მომსახურება	22						
I	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221						
II	მივლინებები	222						
III	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება (ინვენტარ-მოწყობილობების შეძენა	2210						
2	არაფინანსური აქტივები	31	0	0	0			

* - გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პროექტი გარდამავალია და რომელიმე ეტაპის დასრულების თარიღი არ ემთხვევა კალენდარული წლის დასრულებას.